საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2642 2020 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

კაპიტალური პროექტებისათვის დაგეგმილი გადასახდელების მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანის თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიეცეს თანხმობა, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ (პროგრამული კოდი: 27 04) პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან 2 553 300 ლარი მიმართოს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის (სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო)“ (პროგრამული კოდი: 27 03 01 02) პროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებაში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**